ხაშურის მოამბე

№21 (102) 30 მაისი, სამშაბათი, 2017 წელი

საქართველოს დამოუკიდებლობის დღე - დღესასწაული, რომელიც 99 წლის ისტორიას ითვლის

ყოველ ერს აქვს თავისი გამორჩეული სამოქალაქო დღესასწაული, დღე, როდესაც მთელი ერი ერთიანდება, სიხარულის, სიყვარულის

ცისარტყელა დიადემასავით ადგება ქვეყანას ტავზე და ეს სიხარული დიდიან-პატარიანად ყველას გულს მოიცავს.

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის იმპერიისგან და სსრკ-სგან დამოუკიდებლობა 1991 წლის 9 აპრილს გამოცხადდა, ეროვნულ დღესასწაულად მაინც 1918 წლის 26 მაისსს გამოცხადებული დამოუკიდებლობის დღე აღინიშნება და ეს მართებულიც გახლავთ. 1918 წლის 26 მაისს, თბილისში, გოლოვინის პროსპექტზე მდებარე, კავკასიის მეფისნაცვლის ყოფილ რეზიდენციაში, ამიერკავკასიის სეიმის უკანასკნელი სხდომა გაიმართა, რომელმაც ნაშუადღევს, 3 საათზე, ამიერკავკასიის დემოკრატიული რესპუბლიკა დაშლილად გამოაცხადა. იმავე დარბაზში, 4 საათზე და 50 წუთზე, ნოე ჟორდანიას თავმჯდომარეობით, საქართველოს ეროვნული საბჭოს სხდომა გაიხსნა. მას 42 წევრი და 36 კანდიდატი ესწრებოდა. ნოე ჟორდანია სიტყვით გამოვიდა და მისი დასრულების შემდეგ, წაიკითხა „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი“, რომელიც ეროვნულმა საბჭომ ერთხმად დაამტკიცა.

99 მძიმე და ათასგვარი განსაცდელით აღსავსე წელი გავიდა მას შემდეგ.

საბედნიეროდ, ყველა მძიმე პერიოდი უკან დარჩა და დღეს 26 მაისი მთელს ქვეყანაში აღინიშნება, როგორც ზეიმთა ზეიმი.

სრულიად საქართველო მოიცვა ამ დღესასწაულმა. ბუნებრივია, გამონაკლისი არც ჩვენი მუნიციპალიტეტი ყოფილა და ათასგვარმა აქტივობებმა მოიცვა როგორც მუნიციპალიტეტის ცენტრი, ასევე მისი

მინიფეხბურთის, რომელიც ტრაგიკულად დაღუპული დავით გოჩიაშვილის სახელს ატარებდა, ფინალში ერთმანეთს ოსიაურისა და სურამის გუნდები დაუპირისპირდნენ.

ჩემპიონები ოსიაურელი ფეხბურთელები გახდნენ.

პერიფერიები. ეროვნული სიმბოლიკებით გაჯერებულ ღონისძიებებს ბოლო არ უჩანდა. მუსიკა, ცეკვა, სიმრერა, გაღიმებული სახეები, მხურვალე მილოცვები ყოველ ნაბიჯზე მრავლად იყო. სპორტულ ღონისძიებებს სიმღერა ენაცვლებოდა, სიმღერას - ბავშვთა გასართობი თამაშები და ასე მთელი დღე.

გიორგი გურასპაშვილი, მუნიციპალიტეტის გამგებელი: პირველ რიგში, ვულოცავ ყველას ამ ულამაზეს დღესასწაულს. ყველას ვუსურვებ, რომ ის იდეალები, რაც ამ დღის შინაარსში დევს, ასი პროცენტით შესრულებულიყოს და ჩვენი სამშობლო ჭეშმარიტი დემოკრატიის და წარმატებული ქვეყნის მაგალითი ყოფილიყოს მთელს მსოფლიოში. ამ დღისთვის მზადება კარგა ხნით ადრე დავიწყეთ, გამგეობის სამსახურებმა ყველა გამოწვევას ღირსეულად გაართვეს თავი და დღესასწაულს ლამაზად შევეგებეთ. ამინდმაც ხელი შეგვიწყო და ვფიქრობთ, ხალხი კმაყოფილი უნდა იყოს...

დიახ, ზეიმი შედგა. დილის 10 საათიდან გვიან ღამემდე არ შეწყვეტილა ხალხის ნაკადი ხაშურის ცენტრში, მათ განწყობას კი პატარა ბიჭუნას ხმამაღალი შეძახილი გადმოსცემდა, რომელიც მამიკოს კისერზე იყო შესკუპებული, ორივე ხელში საქართველოს დროშა ეჭირა და მთელი ხმით ყვიროდა: - გილოცავთ საქართველოს დაბადების დღეს!

ლეგენდარული სპორტსმენის, რამაზ ხარშილაძის სახელობის ტურნირი დღესასწაულს დაემთხვა და მასში ასეულობით პატარა ძიუდოისტი იღებდა მონაწილეობას.

რატომაც არა? დამოუკიდებლობისა და თავისუფლების მოპოვება, თავის თავში, ალბათ მეორედ დაბადებასაც გულისხმობს!

გ. გოგოლაძე

მამული, ენა, სარწმუნოება

სირცხვილი იმ გუთნისდედას!

„სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა, სარწმუნოება. თუ ამათაც არ ვუპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას?“

გულმდუღარედ კითხულობდა მწარე ეჭვებით გულგასენილი ილია ჭავჭავაძე, საუკუნენახევრის წინათ. წმინდა ილია მართლის თაობამ და მათ მიერ დაკვალიანებულმა ერმა სამივე ღვთაებრივი საუნჯე მოიტანა ჩვენამდე, მაგრამ ჩვენ? ვართ კი კაცები და შეგვიძლია,პასუხი გავცეთ აქ შთამომავლობას,იქ კი - წინაპრებს? ვაი, რომ საიმედოს ვერავინ ვერაფერს იტყვის დღეს!

თვალი და გონება თუ არა აქვს დაბნელებული, ყველა ხედავს, რომ ქართული ენა, რომელსაც ფორმალურად, სახელმწიფო ენის სტატუსი აქვს მინიჭებული, აბუჩად აგდებული, დამცირებული და უგულებელყოფილია. ტელევიზიის წამყვანები, კომენტატორები, მიმომხილველები, სატელევიზიო შოუების მსახიობებზე რომ აღარაფერი ვთქვა, უღმერთოდ რყვნიან და ამახინჯებენ ქართულს; პრესის ფურცლებზე ისეთი ტექსტები იბეჭდება, წერა-კითხვის მცირემცოდნეებსაც რომ გულზე შემოეყრებათ. ორიოდე გაზეთიღა დარჩა, რომლებიც არ ღალატობენ საკუთარ პროფესიულ ღირსებას, მაგრამ ისინი რას გააწყობენ ქართულ ენაზე მასირებული შეტევის ქარტეხილში? მაღაზიების, რესტორნების, სასტუმროთა, თუ სახელმწიფო დაწესებულებების აბრებზე თითქმის გაქრა ქართული წარწერები; რაიმე ორგანიზაციის ინგლისური დასახელება ზოგან ქართული ასოებით წერია, ეგ არის და ეგ!

მწერლობაზე ხომ... ახლა ფულს თუ გადაიხდი, რაც გინდა იმას გამოსცემ. აღარც რედაქტორები, აღარც სტილისტები, აღარც კორექტორები არსებობენ. ისე ,წიგნის სატიტულო ფურცელზე ზოგჯერ რედაქტორისა და რეცენზენტის გვარებსაც წააწყდები, მაგრამ რად გინდა მერე? ზოგს წაკითხულიც არა აქვს, მისი სარედაქტორო წიგნი, ზოგმა კი, ალბათ, ავტორზე მეტი არ იცის.

აი, ამ დღეშია მამა-პაპათაგან ნაანდერძევი ერთი ღვთაებრივი საუნჯე!

ჩვენს სარწმუნოებაზე როგორი შეტევაც ხორციელდება, მართლმადიდებლობის პირსისხლიან მტერს, საერთაშორისო ავანტიურისტ ლეიბა ტროცკისაც (ბრონშტეინსაც) კი შეშურდებოდა. შეტევა ხორციელდება, როგორც ფარულად, ისე აშკარად. აშკარა შეტევას, ძირითადად, მკბენარებივით გამრავლებული და სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილი ავადსახსენებელი არასამთავროები ახორციელებენ, რომელთა მსუყე ცხოვრებას საქართველოს გარეშე და შინაური მტრები უზრუნველყოფენ.

ყოველ ნაბიჯზე - მეტროს სადგურებთან, ავტობუსების ხალხმრავალ გაჩერებებზე მდგარი, ლიტერატურითა და ათასნაირი თვალსაჩინოებით აღჭურვილი იეღოველების ჯგუფები, ქუჩებში საგანგებოდ გამოწყობილი მათივე წარმომადგენელი აგიტატორების სიმრავლე, მეტროს შესასვლელებთან მათხოვრების გვერდით მდგომი საეკლესიო სამოსელით შემოსილი, ყულაბებთან მდგომი „მოწყალების“ შემგროვებლები... განა ეს ეკელსიაზე ფარული შეტევა არ არის? ყოველ უბანში ეკლესიების შენებლობის ბუმია, რომელსაც ხალხი უკვე საეკლესიო ბიზნესს უწოდებს, განა ეკლესიის დევალვაცია არ არის? ახლა სამღვდელოების უმაღლესი იერარქიების ერთი ნაწილის შესახებ ხალხში დამკვიდრებული „კუპრივით შავი“ მითქმა-მოთქმა, რომელიც უკვე სახელმწიფო ორგანოების მიერ სამართლებრივად არის რეაგირებული...

ბზეჟინსკის მიერ კაგრა ხნის წინათ გახმაურებული მიზანი... სრულდება!

ისე, რომ მამა-პაპათაგან დანატოვარი მეორე ღვთაებრივი საუნჯე, ასეთ სავალალო მდგომარეობაშია ახლა!

ენასა და სარწმუნოებას, ძნელბედობის მიუხედავად, ასე თუ ისე, მაინც ინახავს და შეინახავს ჭეშმარიტი ქრისტიანი და პატრიოტი ქართველობა, როგორ უმცირესობაშიც უნდა აღმოჩნდეს იგი, მაგრამ მამულს...

დღევანდელი საქართველოს პარლამენტმა, „საერთო-სახალხო განხილვაზე“ გამოიტანა ახალი კონსტიტუციის პროექტი, რომელშიც შეტანილია მუხლი, უცხოელებზე მიწების მიყიდვის თაობაზე, იმ მიწებისა, რომელსაც ოცდაათი საუკუნის განმავლობაში სისხლით იცავდნენ ჩვენი წინაპრები უცხოელ დამპყრობლებთან ომებში.

ისე, რომ საფრთხე სასიკვდილოა ჩვენი ერისთვის, რადგან დიდი ფული იმ ქვეყნების ხალხებს აქვთ, რომელბიც დიდ წიაღისეულს ფლობენ და მიწა-წყალი აკლიათ. უდაბნოშია ეს ქვეყნები და იმიტომ! ფული აქვთ, მიწა-წყალი არა! აგერ საქართველოშია ედემი მუქთად და იაფად, რატომ არ იყიდიან, ნეტავი? შვილებიც ბევრი ჰყავთ და შვილიშვილებიც. ქართველებივით ერთ-ორ ბავშვს კი არ შეცქერიან. ქართველები კი ფულზე მამულს კი არა, დედ-მამასაც დაუფიქრებლად გაჰყიდიან. არ ყიდდნენ, თუ რა, მაშინ, როდესაც ქვეყანა უპატრონოდ რჩებოდა ხოლმე,. ახლაც უპატრონოდ არის და თუ მოასწრეს ამ ვაგლახებმა მიწა-წყლის გასხვისება, დავით აღმაშენებელიც რომ გაცოცხლდეს, ვეღარაფერს გვიშველის უკვე. ერთადერთი ქვეყანა ისრაელია, რომელმაც ოცდახუთი საუკუნის შემდეგ დაიბრუნა სამშობლო. ოცდახუთი საუკუნის განმავლობაში ახსოვდათ ებრაელებს თავიანთი ვინაობა და სადაურობა, ენა და რჯული!

ოცდახუთი საუკუნე კი არა, მშობლიურ მიწა-წყალს მოწყვეტილი ქართველი ოცდახუთი წლის განმავლობაშიც კი ვერ ინარჩუნებს ენას, ეროვნებასა და რჯულს, არც თავისი ვინაობა ახსოვს და არც სადაურობა! აგერ, ჩვენს თვალწინ არ ხდება ეს? ოციოდე წლის წინათ საქართველოდან უცხოეთში ლუკმა-პურის საძიებლად გადახვეწილი ქართველი ცოლ-ქმრის შვილებმა თავიანთი მშობლების ენა არ იციან და აქ დარჩენილ ბებია-ბაბუებს თარჯიმნის გარეშე ვერ ელაპარაკებიან.

ჩვენი ბუნებაა ასეთი: მშობლიურ მიწას მოწყვეტილები ანთეოსივით უმწეონი ვხვდებით! არა, ეროვნულ ნიშანწყალს ვკარგავთ, თორემ სხვათა ომებში მამაცურად ბრძოლა შეგვიძლია.

სხვის ომში მხოლოდ სულელები იბრძვიან მამაცურადო, როგორც კონსტანტინე გამსხურდიას ერთი ცნობილი პერსონაჟი ამბობს. მართლაც!

ჩვენი სიძლიერის დროსაც არავისთვის წაგვირთმევია მიწა-წყალი, რადგან კოლონიალიზმი ჩვენი ბუნებისთვის უცხოა, იმავე მიზეზით, რაც უკვე აღვნიშნე: საკუთარ მიწას მოწყვეტილი ქართველი, ქართველი აღარ არის. აი, სამშობლოს დეკოლონიზაცია კი ნამეტნავად გვეხერხება. დახედეთ, ერთი, საქართველოს რუკას და დაინახავთ, რა დაემართა ასი-ასორმოცდაათი წლის წინ ქართველებით გაძეძგილ ქვემო ქართლსა და ჯავახეთს! დღეს იქ ქართველი სანთლით სძებარია! რატომ? ომი გვქონდა და მტერმა იარაღის ძლით გამოგვაძევა? არა! ჩვენი ნებით მივატოვეთ და მიტოვებულ სახლ-კარს სხვები დაეპატრონენ. მივატოვთ და მერე ვჯავრობთ: „მე ჯავახეთს რა მიჭირდა, მთვარე იდგა მზესავითა, კალმახი და ქერის პური, წინ მეყარა ბზესავითა!-ო. ახლა სხვებს უყრიათ წინ ჩვენი დოვლათი. ასევე მივატოვეთ ფშავ-ხევსურეთი და თუშეთი, მთიულეთი და რაჭა-ლეჩხუმი. ახლა ჩვენი ხელისუფლება აუქციონზე თუ გაიტანს ჩვენს მშობლიურ მიწას, რომლის სახელსაც იფიცებდნენ ჩვენი წინაპრები, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ვაჭრობა დიდხანს არ გასტანს... და სწრაფად შეივსება ჩვენი დაცარიელებული სოფლები და ნასოფლარები, მიწა-წყალსაც პატრონი გამოუჩნდება, ქვითკირში ჩაკირულ კულტურასაც „იქნება, ყველაფერი იქნება, მაგრამ ამ ქვეყნად ჩვენ...“ ქართველები აღარ ვიქნებით“ ისევე, როგორც ბიზანტიელები აღარ არიან კონსტანტინეპოლში და ეგვიპტელები - ქაიროში. მალე ბიზანტიური ქრისტიანული კულტურის მარგალიტი „აია სოფიას“ ტაძარი ვაითუ მართლა მეჩეთად იქცეს... თურქები დღეს სერიოზულად მოითხოვენ ამას!

აი, პერსპექტივა, რომელსაც გვიქადის უცხოელებზე მიწის გაყიდვის კონსტიტუციური დადასტურება.

რა ჰქვია, მითხარით, იმ ადამიანებს, ვისი ინიციატივითა და ხელშეწყობითაც ეს ხდება?

ქართულ ფოლკლორში შემონახულია ის სახალხო გულისწყრომა, რაც თავს დაატყდა ერთ გაჭირვებულ უმიწაწყლო გლეხს, რომელმაც სხვა რომ ვეღარაფერი მოიფიქრა, თავისი მამა-პაპათა საფლავები გადახნა და ხორბალი დათესა: „სირცხვილი იმ გუთნისდედას, თავის მამის საფლავს ხნავდეს!“

მამულის გაყიდვას რომ აპირებდნენ მამა-პაპათა საფლავებიანა, იმათ რა ეკუთვნით?

ეს კითხვა რიტორიკულია, რადგან ყველა ნორმალურმა, თავისი ქვეყნის პატრიოტმა იცის, რომ მამულის გასხვისება სამშობლოს ღალატია და „სამშობლოს მოღალატე სიცოცხლის ღირსი არ არის!“

ზურაბ ცუცქირიძე

ამერიკული გამოცდილება, რომელიც ჩვენს ფერმერებს წინსვლის გარანტიას აძლევს

გია ჯელაძეს ჩვენს მუნიციპალიტეტში კარგად იცნობენ, როგორც თავის საქმეზე შეყვარებულ და წარმატებულ მეფუტკრეს. ჩვენ მკითხველსაც ემახსოვრება-გასულ წელს, მის საფუტკრე მეურნეობაში სტუმრობის შესახებ ვუყვებოდით. მაშინ კოოპერატივი "ქართული თაფლი" ახალი შექმნილი იყო,დღეს 54 წევრს და 700 ძირ ფუტკარს აერთიანებს ქარელისა და ხაშურის მასშტაბით. ბატონი გია, სულ ცოტა ხნის წინ დაბრუნდა ამერიკიდან, ახალი გამოცდილებებით და შთაბეჭდილებებით, რომელიც მასზე ამერიკულმა ცხოვრების წესმა, სოფლის მეურნეობის ინფრასტრუქტურამ, კერძო და სახელმწიფო სტრუქტურების მიდგომებმა და

უბრალოდ,ადამიანურმა ურთიერთობებმა მოახდინა მასზე:

- ბატონო გია, თქვენი ამერიკაში ვიზიტის შესახებ გვიამბეთ...

–ამერიკის საელჩო ყოველწლიურად აცხადებს პროექტს სოფლის მეურნეობის მიმართულებით, რომელიც სხვადასხვა დარგს მოიცავს. როდესაც გამოცხადდა შესარჩევი კონკურსი, შევავსე აპლიკაცია, გავიარე გასაუბრებები, რის შემდეგაც, მომეცა შესაძლებლობა წავსულიყავი ამერიკაში. ესაა გაცნობითი ხასიათის პროგრამა განვითარებადი ქვეყნებისათვის, რომ გაეცნო ამერიკის სოფლის მეურნეობის ინფრასტრუქტურას, სიახლეებს,რისი დანერგვაც შემდეგ შესაძლებელია საქართველოშიც. მე, როგორც მეფუტკრე, მხოლოდ ამ მიმართულებით არ ვყოფილვარ. გავეცანი სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის ყველა დარგს, რომელიც კოლორადოს შტატსა და მიმდებარე ტერიტორიაზეა განვითარებული.

- წელს საქართველო რამდენი ადამიანით იყო წარმოდგენილი, და ძირითადად ვისზე ვრცელდება ეს პროგრამა?

–აპლიკაციის ფორმა შევავსე ივლისში, გასაუბრება აგვისტოში გავიარე და საბოლოო პასუხი იანვარში იყო. საქართველოდან წელს ხუთნი ვიყავით, სამი მეფუტკრე კოოპერატივიდან, ერთი თხილის მწარმოებელი კოოპერატივის წარმომადგენელი და კოოპერატივების მართვის



სააგენტოს დირექტორი. ეს პროგრამა მხოლოდ კოოპერატივებზე ვრცელდება. ეს ვიზიტი ორ კვირას მოიცავდა.

- ვინ იყო თქვენი მასპინძელი? როგორი იყო ერთი თქვენი ამერიკული დღე?

–ჩვენი მიმწვევი იყო კოლორადოს შტატში მდებარე ფორდ კოლინზის უნივერსიტეტი. კონკრეტულად კი - ამ უნივერსიტეტის საერთაშორისო პროგრამების ოფისი, რომლის წარმომადგენელი იყო ქალბატონი ლიზა პაპპა და კოორდინატორები ბატონები ლენ პელიმანი და ბილ სპენსერი. ესაა საუნივერსიტეტო ქალაქი, სადაც 30 000 სტუდენტი ცხოვრობს. ყველა შტატში არსებობს სახელმწიფო უნივერსიტეტები, რომლისთვისაც სახელმწიფომ 100 წლის წინ გამოყო მიწის ფართობები და დღეს აბსოლუტურად თვითმმართველი უნივერსიტეტები არიან. აქ ფუნქციონირებს კვლევითი ცენტრები. ყოველი დღე იწყებოდა ტრენინგებით, რომლებიც გრძელდებოდა პრაქტიკული საქმიანობებით. ძალიან დიდი მასშტაბებია. ყველაფერი აწყობილია კოოპერატიულ საქმიანობაზე. ფერმერი კოოპერატივში შედის, კოოპერატივი-მსხვილ კოოპერატივში-ერთმანეთის ინტერესებს ითვალისწინებენ და საათის მექანიზმივით აწყობენ სისტემას. ამიტომაც იყო ჩვენთვის საინტერესო დისკუსიები ფერმერულ ურთიერთობებზე კოოპერატივში, აგრარულ სექტორში სამართლებრივ ასპექტებსა და დაბეგვრაზე, მთავრობასთან ურთიერთობაზე...

ჩვენთვის უაღრესად ბევრის მომცემი იყო პროფესორი ამესი ტუუსის ტრენინგი კოოპერატივების მართვის სტრატეგიების შესახებ.

- თქვენ, როგორც მეფუტკრემ, ამ მიმართულებით თუ ნახეთ რადიკალური სხვაობა, ან მსგავსება, ამერიკაში როგორ მუშაობს საფუტკრე მეურნეობა?

–მეფუტკრეობა არ იყო პროგრამაში ჩასმული. თუმცა, თხოვნის შემდეგ, არ გვითხრეს უარი და გავეცანი მათი მუშაობის სტრუქტურასაც. მოვინახულეთ თაფლის გადამამუშავებელი ქარხანა და მეფუტკრესთან ვიყავით სტუმრად. ძალიან გამარტივებულია. პროგრამა აქვთ შექმნილი მეფუტკრეებისთვის და ფერმერებისთვის. თუ ფერმერს ჭირდება ფუტკარი, შეთანხმების საფუძველზე, მეფუტკრეს მიჰყავს ფუტკარი ფერმერთან. თითო ძირზე უხდის 40 დოლარს. მეფუტკრე, ფაქტობრივად, მხოლოდ ფუტკრის მოვლაზეა ორიენტირებული, თაფლის ამოღების დროს, მოდის სპეციალური სამსახური,რომელიც უწურავს თაფლს. რეალიზებაც გამარტივებულია. ჩამოსასხმელი ქარხნებია, რომლებსაც ჰყავთ პერსონალი და მეფუტკრეს შეუძლია ისარგებლოს მათი მომსახურებით. თაფლის საბაზრო ფასი 4-5 დოლარია, დიდი სხვაობა არ არის ჩვენს ბაზარსა და ამერიკულ ბაზარს შორის. დასახელებაც იმის მიხედვით აქვს, რომელი შტატიდანაცაა.

- ფუტკრის შენახვის მეთოდი თუ არსებობს?

–ჩრდილო ამერიკის მხარე,კანადური მეთოდით მუშაობს-არ ინახავს ფუტკარს. შედარებით თბილ მხარეს,იტალიური ჯიშის ფუტკარი ჰყავთ და აზამთრებენ. სადაც არ ინახავენ ფუტკარს, კალიფორნიაში უდიდესი სადედე მეურნეობაა და ყოველ გაზაფხულზე ჩადიან მეფუტკრეები და მოჰყავთ. არსებობს მესამე ფორმაც,რომლის დროსაც, ფუტკარი რჩება ადგილზე.

- ფუტკრის ავადობები რამდენადაა გავრცელებული და როგორ ებრძვიან მას?

–ავადობები ყველგანაა, თუმცა, არსებობს პრევენციული ზომები. პროდუქციის ღირებულებიდან ფერმერი უხდის ლაბორატორიას გარკვეულ თანხას, რომელიც იკვლევს დაავადების ტიპს და ერთი წლით ადრე იცავენ თავს დაავადების შესაძლო გავრცელებებისგან.

- ჩვენ თაფლს თუ შეუძლია თავის დამკვიდრება სხვა ქვეყნის ბაზარზე. თუ იყო სხვაობა გემოვნურ და სტრუქტურულ თვისებებში?

–ზუსტად ვერ ვიტყვი, რა შემადგენლობით განსხვავდება, თუმცა, გემოვნურ თვისებებში სხვაობა, ნამდვილად არის. ჩვენი თაფლი მონოფლორულია, ბევრი ყვავილი შედის, რაც ქმნის ჩვენი თაფლის უპირატესობას. სხვაობაცაა ფუტკრის სახეობაში-იტალიური უფრო მორჩილია ჩვენ ფუტკარზე, ბრაზილიურს მეტი თაფლი მოაქვს, მაგრამ აგრესიულია, მაგრამ სიკეთის მოტანა ყველა სახეობას შეუძლია.

- სახელმწიფო რამდენად მონაწილეობს სისტემის მუშაობაში?

–სახელმწიფო თითქმის არაფერში მონაწილეობს, ისეა სისტემა გამართული. სახელმწიფო მხოლოდ იცავს მეწარმეს ან ფერმერს. ფორსმაჟორული სიტუაციის დროს, სახელმწიფო საბაზრო ღირებულებას უხდის მათ. ჩვენი იქ ყოფნის დროს, კოლორადოსათვის უჩვეულო სიდიდის თოვლი მოვიდა. მოსახლეობას ძალიან უხაროდა, რადგან თოვლის სახით, მათთვის წყლის რესურსი გაჩნდა. თან ზარალი, რომელიც მათ თოვლმა მოუტანა, მათთვის უმნიშვნელო იყო, რადგან სახელმწიფო იცავდა მათ წარმოებას თუ მეურნეობას. დიდი რაოდენობით ხეები მოტყდა,მეორე დღეს გამოვიდნენ შესაბამისი სამსახურები მანქანებით, დაამუშავეს მომენტალურად და გარდაქმნეს ნეშომპალად-თითქმის უდანაკარგო მეურნეობას ქმნიან.

- როგორც ვიცი, გქონდათ იმის შესაძლებლობაც სოფლის მეურნეობის სხვა დარგებსაც გაცნობოდით...

–ფერმერს შევხვდი, რომელიც მარცვლეული კულტურების მოყვანითაა დაკავებული, 4500 ჰა აქვს და მხოლოდ ორი ადამიანი უძღვება მეურნეობას, მაგრამ ტექნიკა აქვს დიდი რაოდენობით, რაც უმარტივებს საქმეს და ნაკლები მუშახელის დაქირავება უწევს. მერძევეებს ჰყავდათ დასაქმებული 80 ადამიანი, რომლებიც 6000 ძროხას უვლიდნენ, თითოული ფური 45–60 ლიტრს რძეს იძლევა და დღეში სამჯერ წველიან. ჰყავთ

დაქირავებული სპეციალისტი, რომელიც იკვლევს მის ენერგეტიკულ და სხვა ღირებულებებს, რომ ბაზრისთვის კონკურენტუნარიანი იყოს მათი წარმოებული პროდუქცია. მოვინახულეთ სახორცე მეურნეობებიც, სადაც 98 000 სული ჰყავთ. ეს მცირე ნაწილია იმისა, რისი ნახვაც და გაცნობაც ორი კვირის მანძილზე შევძელით.

- რა მოგცათ ამერიკულმა გამოცდილებამ?

–აუცილებელია გაერთიანებები, ეს მაჩვენა ამერიკამ-ვერც ერთი სახეობის პროდუქციას ვერც გაიტან ექსპორტზე, ვერც სასაქონლო ღირებულებას მისცემ მსხვილი მეურნეობის შექმნის გარეშე. ოჯახური მეურნეობები მომავალზე არაა გათვლილი. სამომავლოდ, ამერიკული გამოცდილების გათვალისწინებით, გავაკეთებთ გაერთიანებებს და გადამამუშავებელს.

ის დრო თითქმის მოსულია, რომ ქართული თაფლი ექსპორტზეც გავიტანოთ. მთავარია, გადასამუშავებელი ქარხანა გაკეთდეს. თაფლი არის, ხალხს მუშაობა არ ეზარება. იმას, რომ ქართველი ფერმერი გამართული იყოს, წინ არაფერი უდგას. რაც ამერიკელებისგან უნდა ვისწავლოთ, შრომისმოყვარეობა და საქმისადმი სწორი დამოკიდებულებაა.

თ. ჯავახიშვილი

რა ბედი ეწევათ გაზზე გადაყვანილ ავტომობილებს 100 ქულიანი სისტემის შემოღების შემდეგ?

გიორგი 3 წელია გაზზე გადაყვანილი ავტომობილით დადის. პრობლემა არასდროს შექმნია, მისი მანქანა ახლაც გამართულად მუშაობს, თუმცა, 100 ქულიანი მართვის მოწმობის შემოღებამ დააბნია.

"გაჟღერდა ინფორმაცია, რომ თვითნებურად გადაკეთებული ავტომობილით სიარულზე მართვის მოწმობის ქულებს ჩამოაჭრიან მძღოლს და დააჯარიმებენ კიდეც. არ ვიცი, ამ კატეგორიაში ჩემი მანქანა შედის თუ არა. ისიც არ ვიცი, ვინ უნდა შემიმოწმოს, რომ ჩემს ავტომობილზე უსაფრთხოდაა სისტემა

ჩაყენებული. ამის შესახებ არაფერს ამბობენ და ცოტა დაბნეული ვარ. გარშემო ყველა გაურკვევლობაშია. კარგი იქნება, თუ მეტ ინფორმაციას გაავრცელებენ, თუნდაც მედიის საშუალებით. არ მინდა, ისე აღმოჩნდეს, უცებ პატრულმა გამაჩეროს და დამაჯარიმოს," - ამბობს გიორგი.

საზოგადოებაში ფართოდ გავრცელებული ინფორმაცია კი ასეთია: იმ სატრანსპორტო საშუალების მართვა, რომელიც თვითნებურად არის გადაკეთებული, გამოიწვევს 15 ქულით დაჯარიმებას. თუმცა, ავტომფლობელებმა არ იციან, რას ნიშნავს, თვითნებურად გადაკეთებული ავტომობილი და ვინ უნდა შეამოწმოს მისი უსაფრთხოება.

კანონმდებლობაში ეს მუხლი შემდეგნაირად არის განმარტებული: იმ სატრანსპორტო საშუალების მართვა, რომელიც თვითნებურად არის გადაკეთებული (გადაკეთებულია საწვავის ავზი, ძარა, ან დაყენებულია ბუნებრივი აირის სისტემა, ან სხვაგვარადაა შეცვლილი სატრანსპორტო საშუალების კონსტრუქცია და იგი არ შეესაბამება საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მოთხოვნებს ან/და ქარხანა-დამამზადებლის სტანდარტებს), გამოიწვევს 150 ლარით დაჯარიმებას და 15 ქულის ჩამოკლებას.

საქართველოში გაზზე გადაყვანილი ავტომობილების რაოდენობა სწრაფად მზარდია. ბოლო პერიოდში მათი გადაკეთებისას კომპანიები ცნობასაც გასცემენ, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ეს ცნობა საკმარისი არაა და მანქანამ შემოწმება მაინც უნდა გაიაროს.

შპს "ფაბერმა", 2017 წლის იანვარში, აიღო აკრედიტაცია და ფუნქციონირება დაიწყო. კომპანია რუსთავში მდებარეობს და მის კომპეტენციაში შედის გაზის ბალონის გატესტვა, სისტემის დათვალიერება და წნევაზე გამოცდა.

"ვამოწმებთ, რომ ყველაფერი მწყობრში იყოს. დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში, შესაბამის კომპანიებთან ვგზავნით ავტომფლობელებს, რომ დარღვევების მოწესრიგება მოხდეს. არის შემთხვევები, რომ მანქანები შემოწმებას ვერ გადიან. ამ დროს ძირითადი მიზეზი ძველი ბალონებია. ევროპულ ბალონებს ექსპლუატაციის ვადა 20 წელი აქვს, ჩინურს კი - 15.

ვადაგასული ბალონი ცნობის მიღებას ნამდვილად ვერ მოახერხებს. ასევე, აუცილებელი პირობაა, რომ ავტომობილს გაზის დამტენი გარედან ჰქონდეს," - ამბობს "ფაბერის" ექპერტ-ლაბორანტი ლაშა შიოშვილი.

"ფაბერის" გარდა, მსგავს მომსახურებას კიდევ 3 კომპანია ახორციელებს. მათ შორის 2 თბილისში მდებარეობს, 1 კი - ქუთაისში. მალე გორში გაიხსნება "ფაბერის" ფილიალი.

შიოშვილის

განმარტებით, ცნობა 3 წლიანია და მისი აღების ერთჯერადი მინიმალური ღირებულება 130 ლარია. ყოველ დამატებით ბალონზე ღირებულებას 20 ლარი ემატება. ავტომობილის შემოწმება ყოველწლიურად უფასოდ მოხდება. სამი წლის შემდეგ კი ფასიანი ცნობის აღება განმეორებით უნდა მოხდეს.

"სავალდებულო შემოწმების შესახებ, საზოგადოებაში ცნობიერება საკმაოდ დაბალია. ძალიან ცოტამ იცის, რომ შეუმოწმებელი ავტომობილის მართვის შემთხვევაში დაჯარიმდება არა მხოლოდ ფინანსურად, არამედ მის მართვის მოწმობას ქულებიც გამოაკლდება," - დაამატა შიოშვილმა.

აღსანიშნავია, რომ კანონმდებლობაში მსგავსი მუხლი 2010 წლიდან მოქმედებდა და თვითნებურად გადაკეთებულ ავტომობილზე 100 ლარიანი ჯარიმა არსებობდა. თუმცა, გაურკვეველი, იყო ვის უნდა შეემოწმებინა გაზის სისტემის უსაფრთხოება და ვის უნდა გაეცა შესაბამისი ცნობა.

- ახალი გამოცემა -

ძვირფასი შენაძენი



2016 წელს გამოიცა დიმიტრი ყიფიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი ორტომეული, რომელიც შედგენილია თამაზ ლაცაბიძის მიერ. წიგნში თავმოყრილია წერილები, გამოკვლევები და მოგონებები. ამ მდიდარ საინტერესო მასალებით მკითხველს საშუალება ეძლევა სხვადასხვა კუთხით გაეცნოს დიდი მამულიშვილის საქმიანობას და შეძლოს მისი დანახვა მთლიანობაში, რადგან დიმიტრი ყიფიანის მოღვაწეობას და ტრაგიკულ სიკვდილს სრულიად სამართლიანად ენიჭება საზოგადოებრივი და ეროვნული მნიშვნელობა, სწორედ მისმა სიკვდილმა გარდაქმნა და განაახლა ქართველი ინტელიგენციის თვითშეგნება და გვიჩვენა გასული საუკუნის 30-იან წლებში სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული გარემოს მიერ შექმნილი და ჩამოყალიბებული ქართველი მოღვაწე -ინტელიგენტის სახე.

ასევე, ბატონმა თამაზმა საინტერესო მასალები მოგვაწოდა დიმიტრი ყიფიანის შთამომავლებზე და მის ახლობლებზე.

ა) წერილები, სტატიები და ნარკვევები ნიკოლოზ ყიფიანზე. მისი მემკვიდრეობის შესწავლა საკმაო შრომასთან არის დაკავშირებული, რადგან მისი ნაშრომები გაბნეულია ქართულ, რუსულ და ფრანგულ პრესაში. ეს კრებული გარკვეულ წარმოდგენას შეუქმნის მკითხველს მის პიროვნებაზე, მის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე.

ბ) საგრამატიკო წერილები, სტატიები, ნარკვევები მიხეილ ყიფიანზე. მ. ყიფიანი გამოირჩეოდა მრავალმხრივი საქმიანობით, ამიტომ ეს კრებულიც მნიშვნელოვანია როგორც მკითხველისათვის, ისე მის მკვლევარისათვის.

გ) წერილები დავით ყიფიანზე ასევე ძალზე საჭირო და საინტერესოა, რადგან ეს ცნობილი საზოგადო მოღვაწე, იყო თანამოაზრე ილია ჭავჭავაძისა ქართული ენის რეფორმის საკითხებში და ამავე დროს საყურადღებოა მისი საზოგადოებრივ ასპარეზზე მოღვაწეობა.

დ) წერილები, სტატიები მიხეილ ზაალის ძე ყიფიანზე;- ეს კრებული საინტერესოა ყველა იმ დაინტერესებული მკითხველისათვის რადგან აქამდე მასზე ძალზე მწირი მასალები მოგვეპოვებოდა სახლ-მუზეუმში და ეს კრებული გარკვეულ წარმოდგენას შეგვიქმნის მიხეილ ზაალის ძის მრავალმხრივ საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე.

ეს გამოცემები ძვირფასი შენაძენია დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმისათვის, რომლის თანამშრომლებიც მადლობას ვუხდით ბატონ თამაზ ლაცაბიძეს იმ დიდი შრომისთვის, რომელიც მან წიგნზე მუშაობისას გაწია.

დარწმუნებული ვართ, კიდევ ბევრ საინტერესო მასალას მივიღებთ მისგან მომავალში.

გივი გელაშვილი

სამუზეუმო კვირეული, რომელმაც წარუშლელი შთაბეჭდილებები დატოვა

18 მაისს,მთელი საქართველოს მასშტაბით,მუზეუმების საერთაშორისო დღე აღინიშნა. სწორედ ამ დღესთან დაკავშირებით, ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, კვირეულმა აიღო სტარტი, რომელიც ერთი კვირის განმავლობაში საინტერესო, შემეცნებითი და სახალისო ღონისძიებებით მასპინძლობდა სტუმრებს. მუზემების საერთაშორისო დღე 1977 წლიდან აღინიშნება, მუზეუმების საერთაშორისო საბჭოს ICom-ის გადაწყვეტილებით, რომელსაც, მსოფლიოს 150 ქვეყანასთან ერთად, საქართველოც აქტიურად აღნიშნავს, ღია კარის დღეებით, კონფერენციებით და სხავდასხვა ღონისძიებებით. რა თქმა უნდა, ხაშურის სამუზეუმო გაერთიანებაც შეუერთდა ამ ღირსშესანიშნავ თარიღს და საინტერესო კვირეული შემოგვთავაზა.

კვირეული 18 მაისს საზეიმოდ მუზეუმის დირექტორმა თამაზ ლაცაბიძემ გახსნა. მან კიდევ ერთხელ გაამახვილა ყურადღება მუზეუმის უდიდეს როლზე საზოგადოებაში, რადგანაც ის იცავს წარსულს და აკავშირებს აწმყოსთან, ესაა თაობებს შორის კავშირი, რომელიც თანამედროვე და მომავალ თაობებს საშუალებას აძლევს უკეთესად აღიქვან საკუთარი წარმომავლობა და ისტორია. ასევე აღნიშნა, რომ იწყება მუნიციპალიტეტისთვის უმნიშვნელოვანესი პროექტი- დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმის რეაბილიტაცია, რომელსაც ადგილობრივი ბიუჯეტი და რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი აფინანსებს. 2018 წლისთვის უკვე რეაბილიტირებული დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმი შეძლებს დამთვალიერებლის მიღებას და იმ 900-მდე ექსპონატის, დოკუმენტის თუ ფოტომასალის უკეთ წარმოჩენას, რომლებიც აღნიშნულ მუზეუმშია დაცული.

კვირეულის ფარგლებში, მუზეუმის ამაგდარის საპატიო წოდება მიენიჭა მუზეუმის თანამშრომელს, ქალბატონ ლილი მაღრაძეს.

მომდევნო დღე მე-8 საჯარო სკოლის მოსწავლეების პოეტური სპექტაკლით გაგრძელდა, სახელწოდებით „იმ ქუჩის ბოლოს". ჩვენი ნიჭიერი ახალგაზრდების მუსიკამ და პოეზიამ კიდევ უფრო დაათბო და დაამყუდროვა გარემო და მსმენელთა გულები, საოცარი ატმოსფერო სუფევდა იმ საღამოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. პოეტმა კლარა გელაშვილმა აღნიშნა კიდეც „ესაა სტიქია, რომელსაც ვერავითარი ძალა ვერ დაუპირისპირდება... მათ აქვთ სამშობლოს განცდა და ესაა ჩვენთვის მთავარი.." მოსწავლეების ხელმძღვანელი ეკა ლაცაბიძე გახლდათ, საღამო კი მუსიკალურად სალომე გელაშვილმა და ილია ციყელაშვილმა გააფორმეს.

23 მაისს, მუზეუმში, ბატონ მურად მთვარელიძის პოეტური ქმნილების „ხაშურის მისტერიები" პრეზენტაცია გაიმართა. ესაა ნაშრომი, რომელსაც ავტორი დიდი რუდუნებით და გულმოდგინებით, მრავალი წლის განმავლობაში კინძავდა და რომელიც მთელი ხაშურის რაიონის ისტორიას იტევს, საკუთარი კოლორიტი ხაშურლებით, საინტერესო ლოკაციებით, ღირსშესანიშნაობებით, ქუჩებით, წმინდა სალოცავებით, წლების მანძილზე დაცული გამორჩეული პუბლიკაციებით, ხელნაწერებით და ა.შ. ეს სქელტანიანი გამოცემა და შეიძლება ითქვას, ენციკლოპედია უნიკალური მონაპოვარი იქნება ჩვენი რაიონისთვის და თითოეული ჩვენგანისთვის.

მურად მთვარელიძე: „ხაშურის მისტერია 40 წელზე მეტია, რაც იწერება, ეს არის, ფაქტობრივად, პოეტურ-პროზაულ-დოკუმენტური ენციკლოპედია ხაშურისა და მასში შემავალი ყველა სოფლის შესახებ. ვფიქრობ, გამოცემა ძალიან მნიშვნელოვანია იმ მხრივ, რომ მასში აღწრილია მოვლენები, ისტორიული ფაქტები, პიროვნებები დაწყებული XIX საუკუნიდან. ასევე, აღსანიშნავია ისიც, რომ წიგნში გამოყენებულია თქვენი გაზეთის გამორჩეული პუბლიკაციები, მოყოლებული 30-იანი წლებიდან დღემდე. საკმაოდ დიდი მოცულობის წიგნია – 1200 გვერდიანი და ვიმედოვნებთ, რომ დაინტერესება დიდი იქნება გამოცემისა და წიგნიც მალე იხილვს დღის სინათლეს.

კვირეული ხაშურის სამუზეუმო გაერთიენების თანამშრომლების პრეზენტაციებით გაგრძელდა სახელწოდებით - „ჩემი ფავორიტი სამუზემო ექსპონატი". მხარეთმცოდნეობის თანამშრომლებთან ერთად პრეზენტაციებში ლესია უკრაინკასა და დიმიტრი ყიფიანის სახლმუზეუმის თანამშრომლებიც ჩაერთვნენ. მათ მსმენელთა წინაშე გააცოცხლეს ის უძვირფასესი და უნიკალური ექსპონანტები, რომლებიც სამივე მუზეუმს თანაბრად ამშვენებს: „ვახტანგისეული სახარება", რომელიც ვახტანგ VI-ის სტამბაშია დაბეჭდილი 1709 წელს, პირველი ქართველი პროფესიონალი ფოტოგრაფის, ალექსანდრე როინაშვილის ფოტოები, ლადო გუდიაშვილის ნახატი „ტაშისკრის ბრძოლა", უნიკალური, მუსიკალური სარკე, დიმიტრი ყიფიანის სახლმზეუმში დაცული რვაკუთხოვანი და აგრეთვე 14 ფეხიანი მაგიდა, სამოვარი, პატეფონი, გრამაფონი, ლესია უკრაინკას მუზეუმში დაცული ლუდის კათხა, რომელზედაც უკრაინის ხუთი ქალაქის დროშები და გერბებია აღბეჭდილი, უკრაინული ეროვნული ფეხსაცმელი-ლაფტები და სხვა. გარდა საპრეზენტაციო დღისა, მუზეუმელებმა ამ დღეს კიდევ უფრო საინტერესო დატვირთვა მისცეს. მათ გააცოცხლეს ის ეპოქა, რომელშიც მათი წინაპრები ცხოვრობდნენ. მათ წინა საუკუნეებიდან შემორჩენილი უნიკალური ჭურჭლით გააწყვეს არნახული მაგიდა და ჭიქა ჩაიზე უმასპინძლეს სტუმრებს. იმ საღამოს თაფლაკვერებსაც სულ სხვა გემო ჰქონდა შაქარყინულებსაც, ჩაისაც, რომლიც მუზეუმის „დიასახლის" ქალბატონებს სამოვარში წინაპართა წესების დაცვით მოემზადებინათ. იყო მუსიკა, პოეზია, საუბრები, ცეკვა – შინაურული, ოჯახური, ენაკვიმატური წახუმრებები და სიცილი – ესეც ახლობლური და კეთილი. იყო ერთი დიდი ოჯახი

– ურთიერთგაგებით, სიყვარულით, მეგობრობით, პატივისცემით სავსე. დავრჩით საოცრად ნასიამოვნები ამ საღამოთი, უჩვეულო გარემომ და გარემოცვამ განსაკუთრებული შთაბეჭდილება დაგვიტოვა, რომელიც კიდევ დიდხანს დარჩება მეხსიერებაში, მადლობა ამისთვის მუზეუმის საოცრად მოსიყვარულე თანამშრომლებს.

კვირეულის მიწურულს კიდევ ერთი ღონისძიება დაიგეგმა „ჩემი მშობლიური მუზეუმი სახეები და მოგონებები" – რომელზედაც გაიხსენეს მუზეუმის ყველა თაობის თანამშრომლები და განხორციელებლი მნიშვნელოვანი ღონისძიებები. საღამო ადგილობრივი მუსიკალური და ფოლკლორული ანსამბელების კონცერტით დაგვირგვინდა.

კვირეული ერთი წლით დაგვემშვიდობა, რომელმაც, ვფიქრობთ, ტოლი არ დაუდო არცერთ მუზეუმს ღონისძიებების წარმატებით განხორციელებაში. წინსვლასა და ექსპონანტების სიმრავლეს ვუსურვებთ ჩვენ მეგობარ სამუზეუმო გაერთიანებას.

თ. ახალკაცი

სოფო ნოზაძე და საბა ხუციშვილი - საერთაშორისო კონკურსი - ფესტივალის ლაურეატები

ხაშურის სამუსიკო სკოლა რომ ერთ-ერთი წარმატებული სახელოვნებო დაწესებულებაა ქვეყნის მუნიციპალიტეტის მსგავს სკოლებს შორის, არახალი ფაქტია. თვე არ გავა, რომ ამ სკოლის აღსაზრდელებმა სხვადასხვა წარმატებებით არ გაგვახარონ. არც ახლახანს, თურქეთში, ქალაქ სიდეში (ანტალიის მუნიციპალიტეტი) გამართული კონკურსი-ფესტივალი იყო გამონაკლისი და ამ მნიშვნელოვანი მუსიკალური ფორუმიდან სოფო ნოზაძე და საბა ხუციშვილი ლაურეატის წოდებით დაგვიბრუნდნენ.



ლატვია, ლიტვა, ყირგიზეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, თურქეთი, რუსეთი - აი, ასეთი წარმომადგენლობითი იყო ფესტივალი და ამ ფონზე ჩვენი მუსიკოსების წარმატება უფრო მნიშვნელოვანია.

კონკურსი ორ ტურად ჩატარდა. პირველ ტურში აუცილებელ პირობად იდო დავალება, რომ კონკურსანტებს უნდა დაეკრათ ბაროკოს ეპოქის ნებისმიერი კომპოზიტორის ნაწარმოები. სოფო ნოზაძემ ამ ტურში ბოკერინის „მენუეტი“ და ვოლფარტის ეტიუდი შეასრულა. მეორეში კი - ბომის „პერპენტუმობილე“ („უწყვეტი მოძრაობა“).

წარმატება იმხელად დიდი იყო, რომ ჟიურის წევრმა ნანა იაშვილმა (იაშვილების უცნობილესი სამუსიკო ოჯახის ეს მევიოლინე ამჟამად თურქეთში, ადანის კონსერვატორიის პროფესორია), მას პატარა პაგანინი უწოდა.

სოფოს გამარჯვება კონკურსზე ჟიურიმ ერთხმად აღიარა.

სოფომ ფესტივალზეც მიიღო მონაწილეობა და ხაჩატურიანის „ანტანტინოს“ შესრულებით მაყურებელი აღაფრთოვანა.

საბა ხუციშვილმა ფესტივალში სკრიაბინის „მელოდია“ და კრეისლერის „ალეგრო“ შეასრულა.მხურვალე ოვაციები იყო იმის დასტური, რომ საბამ ღირსეულად მიიღო ლაურეატის წოდება.

არ შეიძლება არ აღინიშნოს პედაგოგ ფატი სადაღაშვილისა და კონცერტმეისტერ თამაზ აბრამიძის უდიდესი ღვაწლი ჩვენი წარგზავნილების წარმატებაში.

სამუსიკო სკოლის კიდევ ერთი აღიარება იყო ახლახანს თბილისში გამართული კონკურსის „მომავლის ვარსკვლავების“ შედეგების გამოცხადება. აქ სოფო ნოზაძე და ლიკა კალმახელიძე გალა-კონცერტზე მიიწვიეს, რომელიც 4 ივნისს გაიმართება. ამავე კონცერტზე მსმენელის წინაშე წარსდგება სკოლის გუნდიც, რომელიც შარლ აზნავურის ცნობილი სიმღერის -„შინ“ - ინტერპრეტაციას შესთავაზებს მსმენელს.

გ. მაღრაძე

1 ივნისი ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეა!

დღეს დედამიწა ბავშვის ღიმილში გახვეულა და სივრცეში მიჰქრის...

საინტერესო საღამო

“სტუმრად მოძღვარი” - ასე ერქვა საღამოს, რომელიც ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებით განვითარების ცენტრის, რელიგიისა და რაიონის ისტორიული ძეგლებს შემსწავლელი წრის ხელმძღვანელმა, თამარ გოგალაძემ ამავე წრის წევრებთან ერთად გამართა. საღამო განსხვავებულ ასპექტში წარიმართა, რელიგიურ თემატურობას, პოეზიას თან სდევდა შეკითხვები რელიგიის შესახებ, რომელთაც ჩვენს ეპარქიაში მოღვაწე მოძღვარნი: მამა კახაბერი, მამა ალექსი და მამა გიორგი პასუხობდნენ. საღამოზე არაერთ საინტერესო კითხვას გაეცა პასუხი, რამაც მკვეთრად მიიპყრო დამსწრე საზოგადოების ყურადრება. ასევე ღონისძიებაზე მოსწავლეებმა შეასრულეს სხვადასხვა საგალობელი.

ღონისძიების მიწურულს, მოძღვრებმა, მოსწავლეებს და დამსწრე საზოგადოებას გადასცა სამახსოვრო ხატები. შეხვედრას ესწრებოდნენ ხაშურის განათლების, კულტურის და სპორტის, საგანმანათლებლო რესურსცენტრის და მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ-ების წარმომადგენლები.

საბავშვო ბიბლიოთეკასთან არსებულმა დრამატულმა წრემ ახალი სპექტაკლი წარმოადგინა

19 მაისს, ხაშურის საბავშვო ბიბლიოთეკასთან არსებულმა დრამატულმა წრემ სპექტაკლი „ნიას ბედნიერება“ წარმოადგინა და დიდი მოწონებაც დაიმსახურა. სპექტაკლი ირმა მალაციძის პიესის მიხედვით, დრამატული წრის ხელმძღვანელმა-ნონა ტეფნაძემ დადგა. სპექტაკლის მომზადებაში, ასევე, აქტიურად იყვნენ ჩართულები საბავშვო ბიბლიოთეკის თანამშრომლები.

სპექტაკლის შემდეგ, პიესის ავტორმა ირმა მალაციძემ საბავშვო მოთხრობა „კოდალა“ წაიკითხა და პატარებს სახალისო „რითმოცანები“-ანუ გარითმული გამოცანებიც შესთავაზა.

ღონისძიების ბოლოს, მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორის მ/შ ნინო კიკნაძემ „ნიას ბედნიერებაში“ მონაწილე პატარა მსახიობებს სიგელები გადასცა.

ვუღოცავთ!

მეგობრები ნანი გაჩეჩილაძე, მაყვალა ხაჩიძე, ჟუჟუნა ცენგირაშვილი, კლარა გელაშვილი, რევაზ გრიგალაშვილი, გივი გელაშვილი, შოთა დარბუაშვილი დაბადების დღეს ულოცავენ ცნობილ ხელოვანს რევაზ პოფხაძეს.

უსურვებენ მას შემოქმედების აღმასვლას.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.